ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7283200

ნომერი: AR11063692

თარიღი : 28.10.2024

გაცემის თარიღი : 12.11.2024

გაცნობის თარიღი : 12.11.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი 01 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N1ა-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი გურგენიშვილი პ/ნ 36001003503
- ქიმძმარაულის 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 28 ოქტომბრის №AR11063692 განცხადებით მომართა ლევანი გურგენიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 21 აგვისტოს №6625201 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 21 აგვისტოს №6625201 ბრძანებით №01.17.10.011.114 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საოფისე) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 21 აგვისტოდან 2025 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 21 აგვისტოს №6625201 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შპს "ვარკეთილი ფროფერთიზ" (ს/ნ: 436047813) დაფიქსირებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 21 აგვისტოს №6625201 ბრძანებაში დამკვეთად უკვე ფიქსირდება მხოლოდ შპს "ვარკეთილი ფროფერთიზ" (ს/ნ: 436047813), სამსახური მოკლებული შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2023 წლის 21 აგვისტოს №6625201 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.